



საზოგადოება

მია კობახიძე პედაგოგთა პროფკავშირის დასუსტების მცდელობაზე საუბრობს

14:50 13-12-2010



პედაგოგთა პროფკავშირის პრეზიდენტი მია კობახიძე პროფკავშირის წევრებისადმი კიდევ ერთ განცხადებას აქვეყნებს. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს სრულად. 'საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტის მიმართვა აღმასრულებელი საბჭოს წევრებსა და ყრილობის დელეგატებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის 2010 წლის 30 ოქტომბრის მე-6 რიგგარეშე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მიზანშეწონილად მიმაჩნია გავაკეთო შეფასება. როგორც თქვენთვის ცნობილია, პროფკავშირის რაიონულ

ლიდერთა გარკვეულმა ჯგუფმა, ქალბატონ ეკა ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით, დატოვა ყრილობა და არ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. მათ, თავიანთი დესტრუქციული ქმედებითა და დელეგატების შეცდომაში შეყვანით, წაართვეს მათ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება და შელახეს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინტერესები. ასევე მიმაჩნია, ზოგიერთის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მასწავლებელს არ შეუძლია პედაგოგთა გაერთიანების მართვა, წარმოადგენს პედაგოგის პროფესიის დისკრედიტაციას. ვთვლი, რომ მათი მართლსაწინააღმდეგო ქმედება იყო წინასწარ კარგად დაგეგმილი და პროვოკაციაზე გათვლილი, სხვა შემთხვევაში მათ შეეძლოთ ემოქმედათ ცივილიზებულად და უზრალოდ სურვილის არ ქონის შემთხვევაში, მხარი არ დაეჭირათ ჩემი კანდიდატურისათვის.

ასევე გაცნობებთ, რომ მე სპმთპ-ის პრეზიდენტად ამირჩია ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობამ. ყრილობის ლეგიტიმურობა ასევე დაადასტურეს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კერძოდ, განათლების ინტერნაციონალის გენერალური მდივნის კონსულტანტმა გასტონ დე ლა ჰემ, ადამიანის უფლებათა დაცვის და ევროკავშირის წარმომადგენელმა ოლივერ რაიხნერმა, ამერიკის მასწავლებელთა საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსმა დევიდ დორნმა, ამერიკის შრომის საერთაშორისო „სოლიდარობის ცენტრის“ ქართული პროგრამების დირექტორმა რობერტ ფილდინგმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობის დირექტორმა საქართველოში ია თიკანაძემ.

მოგახსენებთ, რომ აწლის 19 ნოემბერს ჩატარდა სპმთპ-ის „აღმასრულებელი საბჭოს“ არალეგიტიმური სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა უკანონო და სპმთპ-ის წესდებასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებები.

სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის მე-2 მუხლის 2.4 პუნქტის შესაბამისად, "ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მოწვევის თარიღის, ჩატარების ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით (ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით), 10 დღით ადრე მაინც". ჩვენთვის ზემოაღნიშნული „საბჭოს“ ჩატარების შესახებ არავის უცნობებია.

ასევე ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა „აღმასრულებელი საბჭო“ უფლებამოსილი მიეღო გადაწყვეტილებები, კერძოდ იყო თუ არა სპმთპ-ის წესდების 6.6 მუხლითა და სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის პირველი მუხლის 1.3 პუნქტით გათვალისწინებული ქვორუმი.

მინდა გაცნობოთ, რომ 2010 წლის 19 ნოემბრის „№43 აღმასრულებელი საბჭო“ ჩატარდა სპმთპ-ის წესდების და აღმასრულებელი საბჭოს რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ:

აღმასრულებელი საბჭოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება პრეზიდენტის დროებით მოვალეობის შემსრულებლის არჩევა. სპმთპ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება თავად პრეზიდენტის ბრძანებით და წესდების 7.8 პუნქტის საფუძველზე, ასრულებს სპმთპ-ის პრეზიდენტის ფუნქციებს, მისი არ ყოფნის

შემთხვევაში (მივლინება, შვებულება, ავადმყოფობა ან სხვა საპატიო მიზეზი). მაშინ, როცა აღნიშნული შემთხვევები არ არსებობს და ორგანიზაციას ჰყავს ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი, პრეზიდენტის დროებით მოვალეობის შემსრულებლის არჩევა წარმოადგენს კანონდარღვევას და ეწინააღმდეგება სპმთპ-ის წესდების მოთხოვნებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის 19 ნოემბრის „№43 რიგგარეშე აღმასრულებელი საბჭოს“ მიერ უკანონოდ იქნა დანიშნული რიგგარეშე ყრილობა, კერძოდ:

სპმთპ-ის წესდების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის თანახმად, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვს კავშირის პრეზიდენტს, აღმასრულებელ საბჭოს ან კავშირის წევრთა 1/3. ამავე, მუხლის 5.3 პუნქტის შესაბამისად, ყრილობის მოწვევის თარიღი, ჩატარების ადგილი და დღის წესრიგი ფორმდება სპმთპ-ის პრეზიდენტის ბრძანებით, საკუთარი ინიციატივით, აღმასრულებელი საბჭოს ან სპმთპ-ის წევრთა 1/3 მოთხოვნის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ რიგგარეშე ყრილობის მოწვევა უნდა გაფორმდეს სპმთპ-ის პრეზიდენტის ბრძანებით. ასევე მოგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნულ შეკრებაზე გამოცემული აქტები არ შეიძლება ჩაითვალოს სპმთპ-ის აღმასრულებელი საბჭოს დადგენილებებად, ვინაიდან მათი გამოცემა არ მომხდარა წესდების მოთხოვნათა დაცვით და ისინი მიიჩნევა საბჭოს წევრთა ზოგიერთი წარმომადგენლის გადაწყვეტილებად. შესაბამისად, მათ არანაირი სამართლებრივი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

და ბოლოს, დაწყებულია მოლაპარაკებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, დაიწყო კოლექტიური ხელშეკრულებების გაფორმება სკოლებთან. დამეთანხმებით, შექმნილი მდგომარეობა ემსახურება ერთადერთ მიზანს: დასუსტდეს და დაიშალოს 105 წლის ორგანიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენ უნებლიე ქმედებებით ხელი არ შეუშალოთ ორგანიზაციის საქმიანობას, _ ნათქვამია მიმართვაში მასალის გამოყენების პირობები

